



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 64

20 თებერვალი
“ --- ” ----- 2024 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა №9; ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (ნაკვეთი 08/018), (ნაკვეთი 08/004) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.16.008.045; №01.14.16.008.018; №01.14.16.008.046) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 7 თებერვლის №24.179.202 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა №9; ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (ნაკვეთი 08/018), (ნაკვეთი 08/004) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.16.008.045; №01.14.16.008.018; №01.14.16.008.046) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე ms.gov.ge რეგისტრირებული №01233354165-67 (№01240163335-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 24.179.202
7 / თებერვალი / 2024 წ.

ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N9; ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (ნაკვეთი 08/018), (ნაკვეთი 08/004) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.045; N01.14.16.008.018; N01.14.16.008.046) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 1 დეკემბერს N01233354165-67(N01240163335-67) განცხადებით მიმართა ვასილ დავითაიამ (პ/ნ 01017001898) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N9; ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (ნაკვ.08/018), (ნაკვ.08/004) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.045; N01.14.16.008.018; N01.14.16.008.046) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N9; ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (ნაკვ.08/018), (ნაკვ.08/004) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.045; N01.14.16.008.018; N01.14.16.008.046). საპროექტო არეალის ჯამური ფართობია 11 020 კვ.მ.

საპროექტო ტერიტორია ხასიათდება სწორი რელიეფით. მას გარშემო ესაზღვრება სახელმწიფოს და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. საპროექტო მიწის ნაკვეთებზე განთავსებული იყო ავტობუსების პარკის ფუნქციონირებისთვის საჭირო ტექნიკური დამხმარე ნაგებობები, რომლის დომონტაჟიც დაგეგმილია საპროექტო წინადადებით. ტერიტორიასთან სამანქანო კავშირი ხორციელდება ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩიდან, ხოლო, სამხრეთით - ამბერკი ტაბიძის ქუჩის მხრიდან.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3). ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით ტერიტორია განთავსებულია პერიფერიულ ზონაში (პზ).

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N9; ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (ნაკვ.08/018), (ნაკვ.08/004) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.045; N01.14.16.008.018; N01.14.16.008.046) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ნოემბრის N577 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი.

წარმოდგენილი წინადადებით, ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3). ტერიტორიაზე დაგეგმილია ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება. საპროექტი წინადადებით ასევე, დაგეგმილია არეალში შემავალი მიწის ნაკვეთების კონფიგურაციის ცვლილება,



N01.14.16.008.045 საკადასტრო ერთეულზე არსებული სერვიტუტის გაუქმება, ამასთანავე, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 2 მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.018 - 1045კვ.მ; N01.14.16.008.046 - 1000 კვ.მ.) გაერთიანება და ადგილმონაცვლეობა.

თვითმმართველი ერთეულისთვის გადასაცემ შენობა-ნაგებობაში (ბლოკი N2) საპროექტო წინადადებით დაგეგმილია პირველადი საჭიროების სავაჭრო-კომერციული სივრცეების განთავსება.

საპროექტო წინადადებით დაგეგმილია ეზოს მაქსიმალურად კეთილმოწყობა გამწვანებული სივრცეებით. საპროექტო არეალის შიდა ტერიტორიაზე, სამანქანო გზის (სახანძრო მისასვლელი) და მიწისქვეშა სივრცეებში ჩასასვლელი პანდუსების გარდა, არ მოხდება დამატებითი გზის მოწყობა. ავტოსადგომები განთავსდება სრულად მიწისქვეშ.

საპროექტო ტერიტორიამდე მისვლა შესაძლებელი იქნება ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩის გავლით ამბერკი ტაბიძის ქუჩის მხრიდან.

მიწის ნაკვეთის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საპროექტო ფუნქციური ზონირება:

საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)

მიწის ნაკვეთების რაოდენობა 2 ერთეული:

სექ. N1 - 8 975 კვ.მ.

კ-1 - 0.5 - 4 882,4 კვ.მ.

კ-2 - 1,5 - 13 857, 4 კვ.მ.

კ-3 - 0.3 - 2 692,5 კვ.მ.

საპროექტო შენობების რაოდენობა: 1 შენობა;

სექ. N 2- 2 045 კვ.მ.

კ-1 - 0.5 - 1 112,5 კვ.მ.

კ-2 - 1,5 - 3 157,5 კვ.მ.

კ-3 - 0.3 - 613,5 კვ.მ.

საპროექტო შენობების რაოდენობა: 1 შენობა;

გამწვანებული ტერიტორიის ფართობი: 3306კვ.მ;

მაქსიმალური სართულიანობა: 4-5 სართული;

მაქსიმალური სიმაღლე - 15 მეტრი;

მიწისქვეშა მინიმალური ავტოსადგომი - 95;

პროექტით დაგეგმილი მიწისქვეშა ავტოსადგომი - 101;

არსებული ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 3 (სზ 3);

საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3);

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა;

ა) გაუანაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის, 2024 წლის 30 იანვრის N01240303536 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 18 იანვრის N01240183048 წერილის შესაბამისად, სააგენტო, არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ტატა (ტატინა) თვალჭრელიძის ქუჩა N9; ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (ნაკვ.08/018), (ნაკვ.08/004) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.045; N01.14.16.008.018; N01.14.16.008.046) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01233354165-67(N01240163335-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, ტატა (ტატინა) თვალჭრელიძის ქუჩა N9; ქალაქ თბილისში,

ლისის ტბის მიმდებარედ (ნაკვ.08/018), (ნაკვ.08/004) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.045; N01.14.16.008.018; N01.14.16.008.046) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმაღაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: **01240183048**
თარიღი: **18/01/2024**

2024 წლის 16 იანვრის N 01240163335-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ტ. თვალჭრელიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.14.16.008.045; 01.14.16.008.018; 01.14.16.008.046) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებით:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2023 წლის 23 ივნისის N 01231733493-67 განცხადების პასუხად N 01231811188 წერილით.

ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა(ები), შესაბამისი თანხმობის წერილებთან ერთად.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01240303536
თარიღი: 30/01/2024

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 16 იანვრის №01240163335-67 განცხადება, რომელიც ეხება, ქალაქ თბილისში, თვალჭრელიძის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.14.16.008.046; 01.14.16.008.045; 01.14.16.008.018; საპროექტო/არსებული ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)) მრავალბინიანი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **57 ძირი** (№1-11; №17-19; 25; 26; 42; 27; 57; 66; 67; 71; 75-77; 82; 84; 85; 102; 139-144; 149; 156-160; 167; 169-171; 175; 177; 182; 184; 185; 186; 188; 195; 197-199; 202; 206) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11- 58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე მწვანე ნარგავის რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

ასევე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **6 ძირი** (№86; 147; 161; 204; 205; 210) **ჯანსაღი** მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი/ხმობადი ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **8 ძირი** (№72; 94; 96; 98; 106; 163; 165; 166) მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **40 ძირი** მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მისი გადარგვისა და გახარების შესაძლებლობა, დადგენილების მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული **40 ძირი** (№20; 21; 35; 36; 53; 54; 70; 73; 74; 83; 93; 95; 100; 101; 103; 104; 105; 112; 117; 118; 120; 121; 122; 123; 124; 126; 130; 131; 132; 133; 134; 138; 145; 148; 164; 172; 183; 196; 203; 207) მწვანე ნარგავი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **8 ძირი** (№37; 97; 99; 119; 125; 151; 168; 189) გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25

სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავი, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მათზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (არსებული/გადასარგავი: 86 ძირი და საპროექტოდ დასარგავი: 23 ძირი იფანი; 23 ძირი ჰიმალაის კედარი; 23 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი; ჯამში - 155 ერთეული) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის სავალდებულო საანგარიშო ფართობს (ნაკვეთი №1 (სზ-3)- კ-3=2692.5 მ²; ნაკვეთი №2 (სზ-3) -კ-3=613.5 მ²; ჯამში- 3306 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.


იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება საზოგადოებრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწეობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

აქვე, ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ განმცხადებელმა, დეტალური პროექტირების ეტაპზე, უნდა გამოასწოროს ტექნიკური ხარვეზი და გადასარგავი მწვანე ნარგავების ცხრილში 18; 9-ის ნაცვლად მიუთითოს №189.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიკური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



[illegible]

2) *განმარტების მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელება* – განმარტების მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც განხორციელდება განმარტების მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელების მიზნით.


[illegible][illegible]

ՁՈՏԻՆ ՆԱԿՅՈՒՆԱԿԻ ՔՈՆԿՐԵՏԱԿԱՆ ԵՎ ԼՈՐԵՆՏԻՆ

შპს "საქსტელკომ"

წარმოდგენილი პროექტში ნაჩვენებია შენობა, შიდა გზა, შენობებზე კონფერენცია ანთა პრიზითი და დახურული დახვალეთი კონფერენციის მსახიობი და ახსნა/შეხვედრა შენობის შიდა გზის დახვალეთი გზით. ყოველდასვლით და კავშირგაბმულობითი ზოგადი კონფერენცია, კონფერენცია და გეგმარება, კონფერენციები და შენობა ნაგებობის სიმაღლე, კონფერენციის (სეციის) მოქმედის და დახვალეთი (კონსილი), ავტომატური გადამცემების მომსახურება და შენობაში ან/და სადგომში მოსაწყობი ტრასაზე დასვლა და გასვლა.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ვიზუალიზაციისა და ფოტომონტაჟზე ნაჩვენებ საპროექტო შენობის ვიზუალიზაციის პირობითი და წარმოდგენის ესკიზს საპროექტო შენობა(ები) შესაძლოა შეიცვალოს დეტალური პროექტის შედგენის სტადიაზე.



STUDIO9
Architectural
Design
www.studio9.ge

საქართველოს საოცრებად

Company name

მ.ვ.ს. "საქართველო" 404429515

ඇමුණුක 10(1) යටතේ

© 1997

ბანაშანიანების რეზიდენცია

anlysis

მის: ქალაქი თბილისი, ბაბა (ბაბიანე)

ნახუნი დუსხედიკა



2015-2016 წლის განმავლობაში
 მუშაობის შედეგად

CONFIDENTIAL

- ☐ საპატენტო ეროვნული
☐ საპროექტო საზღვარი
☐ საპროექტო ენობა
☐ საპროექტო მზა
☐ ტერიტორი
☐ გამწვანება

[illegible][illegible]

მისი ნაკვეთების დამალური რეგლამენტის დოკუმენტი

[illegible][illegible]